ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №89345

ნომერი: AR130416

თარიღი : 19.03.2012

გაცემის თარიღი : 21.03.2012

გაცნობის თარიღი : 21.03.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებელი , 1.6კმ -ზე ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახაბერ შარვაძე პ/ნ 41001001312
- თბილისი საირმის ქ. N 11 ბ. 18

ორგანიზაცია:

- შპს "სან პეტროლიუმ ჯორჯია" კოდი: 404391136

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით #01.13.01.016.057), შპს "ტირიფი"-ს დირექტორის ე. საბაძის განცხადების საფუძველზე, სამსახურის მიერ უკვე მომზადებულია #1702 (2010.12.01) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები არსებული ავტოგასამართი სადგურის რეკონსტრუქციაზე და სავაჭრო ობიექტის განთავსებაზე, რომლითაც შეგიძლიათ ისარგებლოთ და მის შესაბამისად მოამზადოთ საპროექტო დოკუმენტაცია და ატვირთოთ www.tas.ge-ზე ელექტონულ განცხადებებში შესაბამის ველში, II (არქიტექტურული პროექტის შეთანხმება) და III (მშენებლობის ნებართვის გაცემა) სტადიის შეთანხმებისთვის.

აღნიშნული #1702 (2010.12.01) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები თქვენ შეგიძლიათ გაიტანოთ ქალაქ თბილისის მერიის კანცელარიიდან.

ამასთან გაცნობებთ, რომ თუ თქვენ გსურთ აღნიშნული #1702 (2010.12.01) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაუქმება და ახალის მომზადება, განცხადებით უნდა მოგვმართოს შპს "ტირიფი"-ს დირექტორმა ე. საბაძემ, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაუქმებაზე, ან წარმოადგინოთ მისი შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა აღნიშნულის განხორციელებაზე.

გაურკვევლობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაუკავშირდეთ სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზს - ტელ: 2378346;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.